შპს „კონექსი"
საქართველო, ქ. თბილისი
მინდელის ქ.№3,ტელ. (+99532)2537698

„Konex" LTD
Tbilisi, Georgia
№3 Mindeli str. Tel. (+99532) 253 76 98

Web:www.konex.ge
Email:info@konex.ge

12/05/2023 №სდ-5

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, ისანი სამგორის რაიონში, ხვედელიძის ქ. №8-ში მრავალფუნქციური შენობის ბლოკი B კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

საექსპერტიზოდ წარმოდგენილია ქ. თბილისში, ისანი სამგორის რაიონი, ხვედელიძის ქ. №8-ში (ს.კ. 01.17.10.008.147) მრავალფუნქციური შენობის ბლოკი B პროექტის კონსტრუქციული ნაწილი (სტადია „პროექტი"), მისი მზიდი კონსტრუქციის, როგორც ერთიანი ღეროვან-ფირფიტოვანი სივრცული სისტემის გაანგარიშება. მასთან ერთად წარმოდგენილია პროექტის არქიტექტურული ნაწილი და ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები.

საქართველოს მთავრობის, მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ, №57 დადგენილების მუხლი 19 პარაგრაფი 3-სა და მუხლი 79 პარაგრაფი 2. ბ)-ს თანახმად წულუკიძის ქუჩაზე მრავალფუნქციური შენობა განეკუთვნება შენობა-ნაგებობების IV კლასს. მისი მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია მუხლი 33-ით დადგენილი დოკუმენტაციის არსებობა, კერძოდ IV კლასის შენობა-ნაგებობების მშენებლობისას სამშენებლო მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა და კონსტრუქციული პროექტი, რომელიც შედგება შენობა-ნაგებობების ძირითადი კონსტრუქციული სისტემის დეტალური პროექტისაგან, მათ შორის ფუძე-საძირკვლებისაგან.

პროექტი დამუშავებულია შ.პ.ს. „ტიბინი ჯგუფი"-ს მიერ. კორექტირებული პროექტი ითვალისწინებს 0.00 ნიშნულზე ლითონის ცხაურების ნაცვლად ვიტრაჟების მოწყობა. ასევე ამავე ნიშნულზე დაემატა სახანძრო შახტები. +46.15 ნიშნულზე გაიზარდა ბინის ფართი და სახურავზე პარაპეტის ნაწილში მოხდა შუშის მოაჯირის მოწყობა. მოხდა სხვადასხვა სართულზე ბინების გაერთიანება და გაყოფა.

მრავალფუნქციური შენობა გეგმაში მარტივი მოხაზულობისაა მაქსიმალური გაბარიტული ზომებით ღერძებში 16.40X37.20 მეტრია. აღნიშნული შენობა ნაგებობა შედგება 14 სართულისგან მათ შორის ორი სარდაფის სართულით. შენობის სარდაფის სართულის სიმაღლეები შეადგენს 3 მეტრს. პირველი სართულის სიმაღლე არის 3.00 მეტრი, ხოლო დანარჩენი სართულის სიმაღლეები შეადგენს 3.30 მეტრს.

საინჟინრო გეოლოგიურ კვლევების შედეგების და ტექნიკურ-ეკონომიკური შედარებითი ანალიზიდან გამომდინარე პროექტში ძირითადი შენობის დასაძირკვლების კონსტრუქციულ გადაწყვეტად მიღებულია რკინაბეტონის საძირკვლის ფილას სისქით 1.30 მეტრი. საძირკვლის ფილა ეფუძნება ხელოვნურ ფუძეს-1000 სანტიმეტრის სისქის მდინარის ბალასტის გატკეპნილ ფენას, რომელიც თავის მხრივ განეფინება ფენა-2-ზე თიხნარზე.

შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშირებიანი სივრცული სისტემა. სვეტების განიკვეთის ზომები სარდაფის სართულებზე არის 40X160, 80X120 და 50X100, ხოლო ზედა დანარჩენ სართულებზე 40X100, 40X80 და 40x120 სანტიმეტრია. სართულშუა გადახურვები ხორციელდება მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი ფილებით. მონოლითური რკინაბეტონისაა აგრეთვე ყველა ვერტიკალური დიაფრაგმა, კიბის და პანდუსის კონსტრუქციებიც. შენობის მზიდ კონსტრუქციებში გამოყენებულია სიმტკიცეზე კუმშვაზე B25 კლასის ბეტონი, რომლის დაარმატურება ხორციელდება A500 და A240 კლასის არმატურის ღეროებით. მიწისქვეშ მყოფი კონსტრუქციებისათვის გამოყენებულია ბეტონი წყალშეუღწევადობით W_8.

საექსპერტოდ წარმოდგენილი შენობის მზიდი ელემენტების კონსტრუირებას საფუძვლად უდევს მისი, როგორც ერთიანი ღეროვან-ფირფიტოვანი სივრცული სისტემის გაანგარიშების შედეგები მუდმივ, დროებით ხანგძლივ, დროებით ხანმოკლე ვერტიკალურ დატვირთვაზე, ჰორიზონტალურ ქარის დატვირთვაზე პულსაციის გათვალისწინებით, 8 ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე და მათ საანგარიშო თანწყობაზე რაშიც გათვალისწინებულია ზემოთ

ჩამოთვლილი ცვლილებები. ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებები არ ცვლის შენობის მზიდი ელემენტების დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობებს. საანგარიშო მოდელი ითვალისწინებს შენობისა და მის ქვეშ არსებული გრუნტის ერთობლივ მუშაობას ვლასოვ-პასტერნაკის ორი სადების კოეფიციენტის გამოყენებით. გაანგარიშება ჩატარებულია საანგარიშო კომპლექსი ЛИРА-SAPR 17-ს საშუალებით. სეისმური ძალების ფორმირება ხდება ნორმატულ დოკუმენტში „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09)-ში მოყვანილი მეთოდიკის საფუძველზე.

რკინაბეტონის მზიდი ელემენტების დაკონსტრუირება განხორციელდა გაანგარიშების შედეგების სრული შესატყვისობით, უნიფიკაციის მისაღები დონის გათვალისწინებით.

კედლების მიერთების კვანძები ხორციელდება არსებულ რკინაბეტონის კონსტრუქციებში ჩაანკერებული არმატურის ღეროების მეშვეობით.

შენობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემა დამუშავებული დეტალური პროექტის დონეზე. ამჟამად მიმდინარეობს ელემენტებისა და კვანძების მუშა პროექტის დონეზე დამუშავება.

კონსტრუქციულ პროექტში ასევე გათვალისწინებულია მომიჯნავედ არსებული შენობა ნაგებობებზე დაცვითი ღონისძიებები მშენებლობის პროცესის განმავლობაში და შემდგომ პერიოდში რომ არ იქონიოს რაიმე გავლენა აღნიშნულმა მშენებლობამ. აღნიშნული მოიცავს არსებული შენობა ნაგებობის გასწვრივ 40 სმ-ის სანტიმეტრის ნარანდი ხიმინჯების მოწყობას ქვაბულის ფერდის გასამაგრებლად.

პროექტი შესრულდება ქვეყანაში მოქმედი ნორმატული დოკუმენტების СНиП 2.01.07.85 Нагрузки и воздействия, СНиП 2.02.01-83* Основания зданий и сооружений, “სეისმომედეგი მშენებლობა” (პნ 01.01-09), 2.03.01.84 Бетонные и железобетонные конструкции, მოთხოვნების შესაბამისად.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მიმართ არსებითი შენიშვნა არ გაგვაჩნია

დასკვნა ქ. თბილისში, ხვედელიძის ქ. №8-ში მრავალფუნქციური შენობის ბლოკი B-ს კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილში (სტადია „პროექტი“) ფუძეების, საძირკვლების და სხვა ძირითადი კონსტრუქციების დეტალური პროექტი შესრულებულია კარგ დონეზე. წარმოდგენილ პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს შეიძლება გაეწიოს რეკომენდაცია დასამტკიცებლად.

ექსპერტი

კ. ოდიშვილი